ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-15. 15232724**
თარიღი:**29/09/2023**

კანონით განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 21 აგვისტოს N10/1423233394-06 წერილით მომართა შპს ,,დრიმ ლაინმა'' (ს/N448416287) და აღნიშნა, რომ სურვილი აქვს განახორციელოს ქალაქ ბათუმში, იმერხევის ქ.N4-ში მდებარე (ს/კ 05.35.25.041) მიწის ნაკვეთზე ავარიული სახლის დემონტაჟი და სანაცვლოდ ქალაქ ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N133-135-137-139-141-143 და მიმდებარე ტერიტორია (ს/კ 05.32.28.205, 05.32.08.105, 05.32.08.123, 05.32.28.204, 05.32.08.205, 05.32.08.206, 05.32.08.237, 22.05.05.300, 05.32.28.338, 05.32.28.661, 05.32.08.668, 05.32.08.669, 05.32.08.670, 05.32.28.682, 05.32.08.828, 05.32.08.973, 05.32.08.998) საერთო ფართით 10136.00 კვ.მ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის დროებითი ხელშემწყობი ღონისძიების დამტკიცება - განაშენაინების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გაზრდა 17,0-მდე და კანონით განსაზღვრული სხვა სამშენებლო პარამეტრებისაგან განსხვავებული პარამეტრების დადგენა.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ქალაქმშენებლობთი პირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება. შესაბამისად, პროექტის განხორციელებით მიიღწევა რამოდენიმე მიზანი:

ა) მოხდება ქალაქ ბათუმში, იმერხევის ქ.N4-ში (ს/კ N05.35.25.041) მდებარე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ათვისება და ამ სახლში მაცხოვრებელი ადამიანების დაკმაყოფილება.

ბ) ქალაქ ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N133-135-137-139-141-143 და მიმდებარე ტერიტორია (ს/კ 05.32.28.205, 05.32.08.105, 05.32.08.123, 05.32.28.204, 05.32.08.205, 05.32.08.206, 05.32.08.237, 22.05.05.300, 05.32.28.338, 05.32.28.661, 05.32.08.668, 05.32.08.669, 05.32.08.670, 05.32.28.682, 05.32.08.828, 05.32.08.973, 05.32.08.998) საერთო ფართით 10136.00 კვ.მ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, სადაც არსებული ქალაქმშენებლობთი პირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება, ხდება კოეფიციენტის გაზრდა 17,0-მდე.

აღნიშუნულის სანაცვლოდ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მშენებლობის ნებართვის აღების პარალელურად საკუთრებაში გადაეცემა შენობა-ნაგებობის გაზრდილი ფართობის არანაკლებ 10%-ისა სასარგებლო ფართობის სახით, რომელიც გამოყენებულ უნდა იყოს სოციალური მიზნით, ავარიული ბარაკული ტიპის საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლებისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 141-ე მუხლის 23-ე პუნქტის, ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 25-ე პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ შექმნილი „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე - სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამაში მონაწილეობის მსურველი დეველოპერული კომპანიების წინადადებების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ გადაწყვეტილების, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში შექმნილი სათათბირო საბჭოს გადაწყვეტილებებისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წარდგინების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს ,,დრიმ ლაინი“-ს (ს/კ N448416287) წინადადება და ქალაქ ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N133-135-137-139-141-143 და მიმდებარე ტერიტორია (ს/კ 05.32.28.205, 05.32.08.105, 05.32.08.123, 05.32.28.204, 05.32.08.205, 05.32.08.206, 05.32.08.237, 22.05.05.300, 05.32.28.338, 05.32.28.661, 05.32.08.668, 05.32.08.669, 05.32.08.670, 05.32.28.682, 05.32.08.828, 05.32.08.973, 05.32.08.998) საერთო ფართით 10136.00 კვ.მ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის დროებითი ხელშემწყობი ღონისძიების სახით განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი გაიზარდოს 17,0-მდე და ასევე დამტკიცებული იქნას სიმაღლის ნაწილში განსხვავებული ქალაქთმშენებლობითი პარამეტრი.

2. განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების შედეგად შენობა-ნაგებობის გაზრდილი ფართობის არანაკლებ 10%-ისა სასარგებლო ფართობის სახით დარეგისტრირდეს ქალა ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და გამოყენებულ იქნას სოციალური მიზნით.

3. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდგომი ღონისძიებები.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი